

3. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და მინისტრთა საბჭოს დადგენილება აფხაზეთის ასსრ მთელ ტერიტორიაზე მოქალაქეთა ქცევის საგანგებო წესების შემოღების შესახებ

აფხაზეთის ასსრ-ში შექმნილ მძიმე, გამწვავებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ოპერატიულ ვითარებასთან დაკავშირებით და მოქალაქეთა უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს 1989 წლის 18 ივლისის 23 საათიდან (აქ და შემდგომში დრო ადგილობრივია) მო-ქა-ლა-ქე-თა ქცევის საგანგებო წესები ქალაქებში სოხუმი, გაგრა, ტყვარჩელი, ავტონომიური რესპუბლიკის რა-იონულ ცენტრებში, მთელ მის ტერიტორიაზე.
2. შემოღებულ იქნეს შეზღუდული დრო 23 საათიდან დილის 6 საათამდე, რომლის განმავლობაშიც იკრ-ძალება მოქალაქეთა ყოფნა ქუჩებსა და მოედნებზე, გარდა იმათი, ვისაც ამაზე სპეცნებართვა გა-აჩ-ნია.
3. აიკრძალოს ადამინთა თავშეყრა ყველა დასახლებული პუნქტის ქუჩებსა და მოედნებზე.
4. აიკრძალოს ავტომანქანების მოძრაობა 23 საათიდან დილის 6 საათამდე ავტონომიური რეს-პუბ-ლიკის მთელ ტერიტორიაზე.
5. აიკრძალოს ცეცხლსასროლი იარაღის, ფეთქებათსაშიში საგნებისა და აალებადი ნივთიერებების შენახვა. ყველა მოქალაქემ დაუყოვნებლივ ჩააბაროს მასთან არსებული ცეცხლსასროლი იარაღი, წი-ნა-აღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი დაკავებულ იქნებიან სსრკ შსს ჯარების მიერ და გადაეცემიან სი-სხლის სამართლის პასუხისმგებლობაში.
6. ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქების, რაიონული ცენტრების ქუჩების და საავტომობილო ტრა-სების პატრულირება ხორციელდება სსრკ შსს ჯარების მიერ.
7. აფხაზეთის ასსრ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა შე-ი-მუშაონ კონკრეტული ღონისძიებები ამ დადგენილების უცილობელი შესრულების უზრუნველყო-ფი-სა-თვის.
8. ეს დადგენილება მოქმედებს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და მინისტრთა საბჭოს საგანგებო დადგენილებამდე.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. კობახია.

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ზუხბაია

ქ. სოხუმი, 18 ივლისი 1989 წ.

(გაზეთი «Советская Абхазия», № 37, 20 ივლისი 1989 წელი. საკუთარი თარგმანი)